# სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №MEP220000003/03062022

## ფულადი გასაცემლების გაცემის/დარიგების საბანკო მომსახურების თაობაზე

ქ. თბილისი 03 ივნისი 2022 წელი

1. **ხელშეკრულების დამდები მხარეები**

1.1. ერთი მხრივ **საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური მომსახურების სააგენტო** (შემდგომში „სააგენტო“), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **თამილა ბარკალაიას** სახით და მეორე მხრივ **სააქციო საზოგადოება „ლიბერთი ბანკი“** (შემდგომში - „ბანკი“) წარმოდგენილი ფინანსური დირექტორის **ვახტანგ ბაბუნაშვილის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით და „ბანკის“ სატენდერო წინადადების საფუძველზე, MEP220000003 ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. **ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება**

2.1. „სააგენტო“- სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“.

2.2. „ბანკი“ – სს „ლიბერთი ბანკი“.

2.3. „ხელშეკრულება“ – წინამდებარე ხელშეკრულება ფულადი გასაცემლების გაცემის/დარიგების საბანკო მომსახურების თაობაზე და მასზე თანდართული ყველა დანართის, ფორმის თუ სხვა დოკუმენტ(ებ)ის ერთობლიობა.

2.4. „მხარე“ – „ხელშეკრულების“ ერთ-ერთი მონაწილე („სააგენტო“ ან „ბანკი“).

2.5. „მხარეები“ – „ხელშეკრულების“ ორივე მონაწილე ერთობლივად („სააგენტო“ ან „ბანკი“)

2.6. „ფულადი გასაცემელი“ – საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში „სააგენტოს“ მიერ გასაცემი ფულადი სახის გასაცემლები, მათ შორის სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია, საყოფაცხოვრებო სუბსიდია, სოციალური პაკეტი, ფულადი სახის სოციალური დახმარება – საარსებო შემწეობა, დევნილის, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა შემწეობა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ფულადი დახმარება, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ სახელმწიფო პენსიისა და სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა დანამატი, შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარება, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალური გასაცემლი და/ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი და/ან შემდგომში არსებული ჩამოთვლილი გასაცემლების შემცვლელი გასაცემელი, რომელიც ავტომატურად მოექცევა „ბანკთან“ გაფორმებული ხელშეკრულების რეგულირების ფარგლებში, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ფულადი გასაცემელი, რომელიც შეიძლება დაექვემდებაროს „სააგენტოს“ ადმინისტრირებას, თუ ამ გასაცემლის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2.7. „სამუშაო დღე“ – კალენდარული დღის (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით) მონაკვეთი 09.00-დან 18.00 საათამდე (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეების გარდა).

2.8. „საბანკო დღე“ – საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სამუშაო დღე.

2.9. „ფულადი გასაცემლების“ თანხის არამიზნობრივი გამოყენება:

2.9.1. ბანკის მიერ თანხის გამოყენება „ხელშეკრულებით“ დადგენილისაგან განსხვავებული პირობებით, სხვა მიზნების და/ან საქმიანობისათვის;

2.9.2. ბანკის მიერ თანხების ჩარიცხვა ან/და გაცემა ამ „ხელშეკრულების“ შესაბამისად, არაუფლებამოსილ პირებზე და/ან განსხვავებული ოდენობით.

2.10. „თვე“ – კალენდარული თვე.

2.11. „პლასტიკური ბარათი“ – ბანკში გახსნილ მიმდინარე ანგარიშზე მიბმული საანგარიშსწორებო საშუალება.

2.12. „ბენეფიციარი“ – „სააგენტოს“ მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრული ფიზიკური პირი, რომელიც „ინსტრუქციით“ დადგენილი წესით „სააგენტოს“ მიერ „ბანკისთვის“ მითითებული იქნება როგორც „ფულადი გასაცემლის“ მიმღები.

2.13. „ინსტრუქცია“ – მხარეთა შორის, წინამდებარე ხელშეკრულებასთან ერთად, გაფორმებული დოკუმენტები (დანართები №1, №2, №3, №4 და №5), რომლებიც ფორმებთან ერთად წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.14. „ძირითადი პლასტიკური ბარათი“ – „პლასტიკური ბარათი“, რომელიც გაიცემა მხოლოდ „ბენეფიციარზე“ და მიბმულია „ბენეფიციარის“ პირად ანგარიშთან;

2.15. „დამატებითი პლასტიკური ბარათი“ – „პლასტიკური ბარათი“, რომელიც გაიცემა „ბენეფიციარზე“ ან მისი დავალებით (მინდობილობით) მის („ბენეფიციარის“) მიერ დასახელებულ სხვა პირზე (დამატებითი პლასტიკური ბარათის მფლობელი). „დამატებითი პლასტიკური ბარათი“, მიუხედავად თავისი მფლობელისა, მიბმულია ბენეფიციარის პირად ანგარიშთან.

## 3. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

3.1. „ხელშეკრულების“ საგანს წარმოადგენს ამ „ხელშეკრულების“ მიხედვით განსაზღვრული პირობებით „სააგენტოს“ მიერ „ბანკისათვის“ „ფულადი გასაცემლების“ ჩარიცხვა და „ბანკის“ მიერ „ბენეფიციარებისათვის“ „ფულადი გასაცემლების“ გაცემისათვის/დარიგებისათვის საჭირო შესაბამისი საბანკო მომსახურების გაწევა.

3.2. „ბენეფიციარების“ ანგარიშზე „ფულადი გასაცემელის“ ჩარიცხვის/გატანის/გაუტანლობის/მოძრაობის თაობაზე შესაბამისი ინფორმაციის/მონაცემების დამუშავება და „სააგენტოსათვის“ მიწოდება, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 105.000.000,00 (ასხუთი მილიონი) ლარს. ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს 15.000.000,00 (თხუთმეტი მილიონი) ლარს. ყოველი კალენდარული თვის განმავლობაში გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს 1.250.000,00 (ერთი მილიონ ორასორმოცდაათი ათასი) ლარს.

## 4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. „სააგენტო“ პერიოდულად (პერიოდულობას განსაზღვრავს „სააგენტო“, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით) უზრუნველყოფს „ბენეფიციართა“ მონაცემების მიწოდებას და „ფულადი გასაცემლის“ დარიგებისათვის საჭირო თანხის გადარიცხვას „ბანკის“ საკორესპოდენტო ანგარიშზე.

4.2. „ბანკი“, საკორესპონდენტო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვიდან არაუგვიანეს 3 (სამი) საბანკო დღის (ამ შემთხვევაში დღეთა ათვლისას, საკორესპონდენტო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის მომდევნო საბანკო დღე ითვლება პირველ დღედ) განმავლობაში უზრუნველყოფს „ბენეფიციართა“ პირად ანგარიშზე შესაბამისი თანხების განთავსებას, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

4.3. „ფულადი გასაცემლების“ თანხების საკორესპონდენტო ანგარიშზე ჩარიცხვამდე არანაკლებ 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე „სააგენტო“ უზრუნველყოფს „ბანკისათვის“ ბენეფიციართა მონაცემების წარდგენას, „ინსტრუქციით“ გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

4.4. „ბანკის” მიერ ამ მუხლის 4.2. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების აუცილებელ პირობას წარმოადგენს „სააგენტოს“ მიერ ხელშეკრულების 4.3. პუნქტის მოთხოვნათა შესრულება.

4.5. „ბენეფიციარის“ მოთხოვნის შემთხვევაში, „ბანკი“ უსასყიდლოდ უზრუნველყოფს „ბენეფიციარის“ პირად ანგარიშზე ჩარიცხული „ფულადი გასაცემლის“ ავტომატურ რეჟიმში გადატანას/გადარიცხვას (შემდგომში - „ვადიანი საგადახდო დავალება“) „ბანკში“ ან/და საქართველოში მოქმედ სხვა საბანკო დაწესებულებაში გახსნილ „ბენეფიციარის“ პირად ანგარიშზე, იმის გათვალისწინებით რომ „ბანკი“ უფლებას იტოვებს „ვადიანი საგადახდო დავალების“ შესრულებამდე „ბენეფიციარის“ პირად ანგარიშზე ჩარიცხული თანხა მიმართოს „ბანკის“ მიმართ „ბენეფიციარის“ მიმდინარე დავალიანების სრულად დასაფარად, შესამცირებლად ან/და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესასრულებლად, რის თაობაზეც „ბანკი“ ვალდებულია გააფრთხილოს „ბენეფიციარი“, თუ აღნიშნული გაფრთხილება არ არღვევს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

4.6. ამ მუხლის 4.5. პუნქტის შესაბამისად, „ბანკის“ მიერ „ვადიანი საგადახდო დავალების“ შესრულება უნდა იყოს ვადიანი და მისი მოქმედება არ უნდა აღემატებოდეს ზედიზედ 6 (ექვს) თვეს. ამ ვადის

გასვლის შემდეგ „ბანკი“ ვალდებულია შეწყვიტოს „ვადიანი საგადახდო დავალების“ შესრულება და „ფულადი გასაცემლის“ თანხის გაცემა მოახდინოს მხოლოდ თავისი საფილიალო ქსელის მეშვეობით. შეწყვეტილი „ვადიანი საგადახდო დავალების“ განახლება შესაძლებელია მხოლოდ „ბენეფიციარის“ მიერ „ბანკისათვის“ მიმართვის საფუძველზე, აღნიშნულ შემთხვევაში განახლებული „ვადიანი საგადახდო დავალების“ შესრულება განხორციელდება 4.5. პუნქტით განსაზღვრული პირობებით.

4.7. ამ მუხლის 4.5. და 4.6. პუნქტებით გათვალისწინებული „ვადიანი საგადახდო დავალების“ მიღებისას სავალდებულოა „ბანკის“ მიერ განხორციელდეს „ბენეფიციარის” ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით იდენტიფიკაცია.

4.8. ამ მუხლის 4.5. და 4.6. პუნქტებით გათვალისწინებული „ფულადი გასაცემლის“ თანხების ავტომატურ რეჟიმში გადატანას/გადარიცხვას „ბანკი“ უზრუნველყოფს ყოველგვარი საზღაურის გარეშე.

4.9. „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მომსახურების გაწევას „ბანკი“ უზრუნველყოფს 7 (შვიდი) წლის ვადით - 2023 წლის 01 იანვრიდან, 2029 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.10. „ბანკი“ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საკუთარი ქსელის მეშვეობით და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საშუალებით, „ბენეფიციარის“ მოთხოვნის შემთხვევაში ან საკუთარი ინიციატივით, ყოველგვარი საზღაურის გადახდის გარეშე, ეტაპობრივად არაუმეტეს ექვის თვის განმავლობაში უზრუნველყოფს ერთჯერადად პლასტიკური ბარათების დამზადებას, გაცემას და შემდგომ მომსახურებას. ეს პირობა ითვლება შესრულებულად თუ „ბენეფიციარებს“ უკვე აქვთ „ბანკის“ მიერ გაცემული პლასტიკური ბარათები. ასევე, ბარათების დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში „ბენეფიციარის“ მოთხოვნისთანავე „ბანკი“ საზღაურის გადახდის გარეშე უზრუნველყოფს ხელახლა პლასტიკური ბარათების დამზადებას, გაცემას და შემდგომ მომსახურებას.

4.11. გადარიცხული თანხის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით, სააგენტო, არაუგვიანეს ყოველი თვის 12 (თორმეტი) რიცხვისა, ბანკში წარადგენს მოთხოვნას უკან დასაბრუნებელი თანხის შესახებ ელექტრონული ფორმით (ინსტრუქციის შესაბამისად). არსებული (გამოვლენილი) მონაცემების საფუძველზე კონკრეტულ თვეში მოთხოვნილი უკან დასაბრუნებელი თანხა (ერთიდაიგივე ოჯახისთვის იგივე პერიოდი, იგივე თანხები), არ შეიძლება განმეორდეს მომდევნო თვის (თვეების) მოთხოვნაში. „ბანკს“ არ აქვს უფლება შეიტანოს კორექტივები „სააგენტოს“ მიერ წარდგენილ სახელობით მონაცემებში ან ინფორმაციაში. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს „სააგენტოს“ წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში.

## 5. ანგარიშსწორების პირობები და მიღება-ჩაბარების წესი

5.1. „ბანკის“ მიერ გაწეული მომსახურების თაობაზე მხარეთა შორის ფორმდება ურთიერთშედარების აქტი, რომლის გაფორმების წესები და პირობები განისაზღვრება „ინსტრუქციით“.

5.2. „ბანკთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

5.3. „სააგენტო“ იღებს ვალდებულებას გადაუხადოს „ბანკს“ გაწეული მომსახურების ღირებულება მხარეთა მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის შემდეგ.

5.4. ანგარიშსწორების მიზნებისთვის მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება ყოველი საანგარიშო თვის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

5.5. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

## 6. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

6.1. „ბანკი“ ვალდებულია:

6.1.1. განუხრელად და ზედმიწევნით დაიცვას „ხელშეკრულების“ მოთხოვნები და პირობები;

6.1.2. „სააგენტოს“ მიერ ჩარიცხული „ფულადი გასაცემლის“ თანხა განკარგოს მკაცრად განსაზღვრული მიზნობრივი დანიშნულებით;

6.1.3. თანხების განთავსების მიზნით, „სააგენტოს“ მიერ „ბენეფიციართა“ მონაცემების მიწოდებიდან არაუმეტეს 2 (ორი) საბანკო დღის განმავლობაში (მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადაში), უზრუნველყოს „ბენეფიციარისათვის“ პირადი ანგარიშის გახსნა,

ყოველგვარი საზღაურის გარეშე, ან ისარგებლოს „ბენეფიციარის“ უკვე არსებული პირადი ანგარიშით;

6.1.4. „სააგენტოს“ მიერ „ფულადი გასაცემლის“ თანხის საკორესპონდენტო ანგარიშზე ჩარიცხვიდან 3 (სამი) საბანკო დღეში (ამ შემთხვევაში დღეთა ათვლისას, საკორესპონდენტო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის მომდევნო საბანკო დღე ითვლება პირველ დღედ) უზრუნველყოს თანხების განთავსება/განაწილება „ბენეფიციართა“ პირად ანგარიშებზე;

6.1.5. უზრუნველყოს „ბენეფიციარისათვის“ მის კუთვნილ ანგარიშზე არსებულ თანხებზე ხელმისაწვდომობა, „ფულადი გასაცემლის“ თანხების განთავსებისთანავე (როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორების, ფილიალებს/სერვის ცენტრებს, პოსტტერმინალების და ბანკომატებს საშუალებით);

6.1.6. მიაწოდოს „სააგენტოს“ მოთხოვნილი ინფორმაცია „ფულადი გასაცემლის“ თანხების მოძრაობის თაობაზე, წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) ან საპატიო მიზეზის არსებობისას არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. თუ მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდება საჭიროებს 5 (ხუთ) სამუშაო დღეზე მეტს, „ბანკი“ ვალდებულია, ამ ვადაში „სააგენტოს“ წერილობით აცნობოს მოთხოვნილი ინფორმაციის დაგვიანებით მიწოდების თაობაზე, შესაბამისი საპატიო მიზეზის მითითებით;

6.1.7. დაუყოვნებლივ აცნობოს „სააგენტოს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის ან/და დაბრკოლებათა არსებობის შესახებ;

6.1.8. ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტის დადების შემთხვევაში, წერილობით აცნობოს „სააგენტოს“ ამის თაობაზე.

6.1.9. საჭიროებიდან გამომდინარე, „სააგენტოს“ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, „ბენეფიციარების“ ანგარიშებზე „ფულადი გასაცემლების“ თანხების ჩარიცხვის მიზნით „სააგენტოს“ არაუმეტეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადით გამოუყოს ოვერდრაფტი სარგებლის გარეშე საანგარიშო თვეში მიწოდებული სიის მიხედვით ჩასარიცხი თანხის მაქსიმუმ 20,000,000.00 (ოცი მილიონი) ლარის ფარგლებში. ოვერდრაფტის დამატებითი ოდენობა და/ან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით მისი გაცემის საკითხი განისაზღვრება მხარეთა შორის ცალკე შეთანხმების საფუძველზე. ამასთან ოვერდრაფტის მოთხოვნა წარდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს „ბენეფიციართა“ სიის (ბენეფიციართა მონაცემების) „ბანკისათვის“ მიწოდებამდე. თავის მხრივ „ბანკი“ ოვერდრაფტს გამოყოფს „სააგენტოს“ მიერ „ფულადი გასაცემლის“ თანხის საკორესპონდენტო ანგარიშზე ჩარიცხვიდან 3 (სამი) საბანკო დღეში;

6.1.10. „ფულადი გასაცემლის“ გაცემისთვის განკუთვნილი პლასტიკური ბარათებით (ბარათის ტიპის განსაზღვრა „ბანკის“ პრეროგატივაა) მომსახურება (დამზადება, განაღდება „ბანკის ფილიალებში“) მოახდინოს საკუთარი სახსრებით, მომსახურების ტარიფის გარეშე;

6.1.11. „ბენეფიციარებისთვის“ კომუნალური სერვისების გადახდის მომსხურება უზრუნველყოს ნულოვანი ტარიფით;

6.1.12. აღმოუჩინოს ხელშეწყობა და არ შეუქმნას ხელისშემშლელი პირობები „სააგენტოს“ „ფულადი გასაცემლის“ თანხების ჩარიცხვისა და გაცემის შემოწმების პროცესში;

6.1.13. „სააგენტოს“ მოთხოვნის შემთხვევაში გამოყოს უფლებამოსილი წარმომადგენელი (წარმომადგენლები), რომელსაც ევალება აღმოუჩინოს დახმარება „სააგენტოს“ წინამდებარე ხელშეკრულების 7.2.2. პუნქტით და მე-9 მუხლით გათვალისწინებული შემოწმების პროცესში;

6.1.14. სოციალური გასაცემლის („ფულადი გასაცემელის“) ფარგლებში „ბენეფიციარებისთვის“ სესხის გაცემა (დაკრედიტება) უზრუნველყოს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით. წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს გაცემის მომენტში 6 თვიანი ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის ინდექსისა (TIBR6M) და 15 (თხუთმეტი) პროცენტული პუნქტის ჯამურ ოდენობას და არ უნდა იცვლებოდეს სესხის ვადის ბოლომდე. დაუშვებელია „ბენეფიციარისათვის“ ისეთი დამატებითი ხარჯის დაკისრება, რომელიც შინაარსობრივად წარმოადგენს ფინანსურ ხარჯს (მაგ. გაცემის ან სხვა ტიპის საკომისიო, პროცენტზე პროცენტის დარიცხვა, პროცენტის დარიცხვამდე დაკისრება/ჩამოჭრა, ჯარიმა და ა.შ.). ამასთან, სესხი უნდა ითვალისწინებდეს სესხის დარიცხული პროცენტის ყოველთვიურ დაფარვას (დაუშვებელია პროცენტის კაპიტალიზაცია მსესხებელთან შეთანხმების გარეშე);

6.1.15. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის ამოწურვიდან ან შეწყვეტიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს „სააგენტოს“ იმ „ბენეფიციართა“ ჩამონათვალი, რომელთაც ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ვადის დასრულების/შეწყვეტის დღისათვის გააჩნიათ „ბანკის“ მიმართ დავალიანება, შესაბამისი დავალიანების ვადის და თანხის მითითებით (დანართი №6);

6.1.16. „ბენეფიციარს“ მისცეს უფლება წინსწრებით, დამატებითი საკომისიოს და ყოველგვარი გადასახადის გარეშე, დაფაროს (რეფინანსირება მოახდინოს) „ბენეფიციარის“ ნებისმიერი დავალიანება ბანკის წინაშე, რომლის დაფარვის წყაროსაც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული გასაცემლები. ამასთან რეფინანსირების სხვა საფინანსო ინსტიტუტიდან განხორციელების შემთხვევაში (რაზეც „ბანკისათვის“ წარმოდგენილი უნდა იყოს მისთვისვე მისაღები ფორმით შედგენილი შესაბამისი დოკუმენტი) „ბანკი“ ვალდებულია „ბენეფიციარს“ დაუბრუნოს ან დაფარვისას გაუქვითოს ასეთი სესხის ან/და ავანსის გაცემისას წინასწარ აღებული საკომისიოს ან/და საპროცენტო გადასახდელის რეფინანსირების პერიოდისათვის დარჩენილი (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შემოსავალში არ აღიარებული) ნაწილი;

6.1.17. „ხელშეკრულების“ 6.1.14. და 6.1.16 პუნქტები ძალაშია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ვადის გასვლის ან შეწყვეტის შემდგომაც, „ბენეფიციარის“ „ბანკის“ მიმართ არსებული ნებისმიერი სახის დავალიანების სრულ დაფარვამდე, რომლის (დავალიანების) წარმოშობა (შესაბამისი სესხის ან/და ავანსის ბანკის მიერ ბენეფიციარზე გაცემა) მოხდა წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში;

6.1.18. „ხელშეკრულების“ 6.1.15. პუნქტის მიხედვით განსაზღვრული „ბენეფიციარების“ დავალიანების სრულად დაფარვის შემთხვევაში „სააგენტოს“ მიაწოდოს ასეთი „ბენეფიციარების“ სია ყოველი თვის დასრულებამდე 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე;

6.1.19. „სააგენტოს“ მოთხოვნის შემთხვევაში 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს „ხელშეკრულების“ 4.5. პუნქტის მიხედვით გაფორმებული და/ან მოქმედი „ვადიანი საგადახდო დავალებების“ მონაცემები;

6.1.20. „ხელშეკრულების“ 6.1.19. პუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე „ხელშეკრულების“ 4.5. პუნქტის მიხედვით გასაფორმებელი „ვადიანი საგადახდო დავალება“ მიიღოს მხოლოდ ისეთი ფორმით, რომ „ვადიანი საგადახდო დავალება“ ითვალისწინებდეს „სააგენტოსათვის“ ამ საგადახდო დავალების დეტალების შეტყობინების უფლებას.

6.2. სააგენტო ვალდებულია:

6.2.1. უზრუნველყოს „ბანკისათვის“ „ფულადი გასაცმელის“ გასაცემად საჭირო თანხის გადარიცხვა;

6.2.2. „ფულადი გასაცემლის“ თანხების ჩარიცხვამდე არაუგვიანეს ორი(2) სამუშაო დღით ადრე „ბანკს“ წარუდგინოს „ბენეფიციართა“ მონაცემების ელექტრონული ვერსია (მონაცემების წარდგენა ხორციელდება „ინსტრუქციის“ შესაბამისად);

6.2.3. „ოვერდრაფტის“ საჭიროების შემთხვევაში წერილობით აცნობოს „ბანკს“ აღნიშნულის შესახებ;

6.2.4. განუხრელად და ზედმიწევნით დაიცვას „ხელშეკრულების“ სხვა მოთხოვნები და პირობები;

6.2.5. „ხელშეკრულების“ 6.1.15. პუნქტის მიხედვით განსაზღვრული „ბენეფიციარების“ „ფულადი გასაცემლის“ ჩარიცხვა განახორციელოს „ბანკში“ ამ „ხელშეკრულების“ ვადის გასვლის შემდეგაც, მანამ სანამ შესაბამისი „ბენეფიციარის“ არსებული დავალიანება არ დაიფარება სრულად (მათ შორის სხვა საფინანსო ინსტიტუტიდან რეფინანსირების გზით);

6.2.6. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში 2.6. პუნქტით განსაზღვრული „ფულადი გასაცემლის“ გაცემა განახორციელოს მხოლოდ „ბანკის“ მეშვეობით, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

6.3. „ხელშეკრულების“ 6.2.5. პუნქტით განსაზღვრული ჩარიცხვების დასრულებამდე მომსახურების აღნიშნულ ნაწილთან დაკავშირებით „ბანკის“ და „სააგენტოს“ მიმართ ძალაში რჩება ამ „ხელშეკრულების“ ყველა მუხლი.

6.4. „ბანკს“ უფლება აქვს:

6.4.1. მოითხოვოს „სააგენტოსაგან“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.

6.5. „სააგენტოს“ უფლება აქვს:

6.5.1. „ბანკისაგან“ მოითხოვოს „ფულადი გასაცემლების“ საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებული მისთვის საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია;

6.5.2. უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით მომსახურების ნებისმიერ ეტაპზე აწარმოოს „ფულადი გასაცემლის“ თანხების ჩარიცხვისა და გაცემის და/ან ხელშეკრულების სხვა პირობების მონიტორინგი (კონტროლი).

## 7. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

7.1. ხელშეკრულების გაფორმებისას „ბანკმა“ უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უპირობო და გამოუთხოვადი გარანტია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5% -ის ოდენობით.

7.2. „ბანკის“ მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არანაკლებ 60 (სამოცი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

7.3. „ბანკის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულებების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, „სააგენტო“ უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმართოს გარანტიის გამცემ ორგანოს (გარანტს) და მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების გარანტიით გათვალისწინებული თანხა.

7.4. „სააგენტო“, „ბანკის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, „ბანკის“ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაბრუნებას.

7.5. უპირობო, გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

8.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს „სააგენტო“ არ არის ვალდებული წარუდგინოს „ბანკს“ რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ორმხრივი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლი, პუნქტი) ბათილად ან გაუქმებულად გამოცხადება არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან გაუქმებას. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლი, პუნქტი) ბათილობის/გაუქმების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება, რაც ამოქმედდა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მხარეები ვთანხმდებით, რომ ამ შემთხვევაში არ არის სავალდებულო ხელშეკრულებაში კორექტირების შეტანა შეთანხმებით, ხოლო ბათილად/გაუქმებულად გამოცხადებული ხელშეკრულების ნორმის (მუხლის, პუნქტის) ნაცვლად მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

## 9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. „ფულადი გასაცემლის“ თანხების ჩარიცხვისა და გაცემის შემოწმებას უზრუნველყოფს „სააგენტო“.

9.2. „სააგენტო“ უფლებამოსილია შემოწმება განახორციელოს როგორც უფლებამოსილი წარმომადგენლის, ისე შემმოწმებელი ჯგუფის მეშვეობით. შემმოწმებელი ჯგუფი (უფლებამოსილი წარმომადგენელი) შეიძლება შედგებოდეს (წარმოადგენდეს) როგორც „სააგენტოს“ თანამშრომლების, ისე გარეშე პირებისაგან.

9.3. „სააგენტო“ ვალდებულია ინსპექტირების დაწყებამდე 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს „ბანკს“ შემოწმების ჩატარების შესახებ.

9.4. „ბანკი“ ვალდებულია უფლებამოსილი წარმომადგენლის ან/და შემმოწმებელი ჯგუფის მოთხოვნის შემთხვევაში გამოყოს თავისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები), რომელსაც ევალება

აღმოუჩინოს დახმარება „სააგენტოს“ ამ მუხლითა და 6.5.2. პუნქტით გათვალისწინებული შემოწმების პროცესში.

9.5. შემოწმება ხორციელდება პერიოდულად, პერიოდულობას განსაზღვრავს „სააგენტო“ წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.

9.6. შემოწმება გულისხმობს „ბანკის“ მიერ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული პირობების შესრულების კონტროლს.

9.7. „სააგენტო“ უფლებამოსილია შემოწმების პერიოდში მოითხოვოს „ბანკისაგან“ „ფულადი გასაცემლის“ თანხების მომსახურებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

9.8. „ბანკი“ ვალდებულია „სააგენტოს“ უფლებამოსილ წარმომადგენელს და/ან შემმოწმებელ ჯგუფს სრულად წარუდგინოს „ფულადი გასაცემლის“ თანხების მოძრაობასთან (საკორესპონდენტო ანგარიშზე თანხების განთავსებიდან, პირის მიერ გატანამდე, ან სახაზინო ანგარიშზე დაბრუნებამდე) დაკავშირებული, მოთხოვნილი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი მოთხოვნისთანავე, ან მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

9.9. ბანკი თანახმაა „ბენეფიციარის“ მიერ სოციალური გასაცემლის („ფულადი გასაცემელის“) ფარგლებში მის სახელზე გაცემული სესხის/კრედიტის პირობების წინამდებარე ხელშეკრულების 6.1.14 პუნქტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკისთვის მიმართვის შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წარმოებული მოკვლევის შედეგები, მათ შორის წინამდებარე პუნქტთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გაუზიაროს სააგენტოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი/შემუშავებული წესით. აღნიშნულის თანხმობის შესახებ ბანკი წერილობით მიმართავს ეროვნულ ბანკს ამ ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე.

## 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებიუს ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო.

10.2. „ბანკი“ ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო დაგვიანებული თანხის 0.5 % ყოველ ვადაგადაცილებულ საბანკო დღეზე:

10.2.1. ხელშეკრულებითა და ინსტრუქციით გათვალისწინებული „ფულადი გასაცემლის“ ფულადი გადარიცხვებისა და/ან მათი გაცემისათვის/განთავსებისათვის გათვალისწინებული ვადების დარღვევისას;

10.2.2. „სააგენტოდან“ გადარიცხული „ფულადი გასაცემლების“ თანხის არამიზნობრივი გამოყენებისათვის;

10.2.3. „სააგენტოს“ ანგარიშზე დასაბრუნებელი თანხების ხელშეკრულებით და ინსტრუქციით გათვალისწინებული ვადების დარღვევისას.

10.3. ხელშეკრულების 6.1.14. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში „ბანკს“ დაეკისრება ჯარიმა 1,000.00 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე.

10.4. ხელშეკრულებით და ინსტრუქციით გათვალისწინებული სხვა პირობების (ამ მუხლის 10.2. პუნქტში ჩამოთვლილის გარდა) შეუსრულებლობის (მ.შ. „სააგენტოს“ ან მისი წარმომადგენელის ან შემმოწმებელი ჯგუფის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მიუწოდებლობა) ან ამ პირობების არაჯეროვანი შესრულების თითოეულ შემთხვევაზე (მათ შორის მიმდინარე თვეში ბანკის მიერ სახელობითი მონაცემების არაჯეროვნად წარდგენა, მიუხედავად მათში ცდომილებათა ოდენობისა) გათვალისწინებულია ჯარიმა 500.00 (ხუთასი) ლარის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე.

10.5. პირგასამტეხლოს ან ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.6. შემოწმების შედეგად გამოვლენილი „ფულადი გასაცემლების“ თანხების არამიზნობრივად გამოყენებული სახსრები და დარიცხული პირგასამტეხლო ან ჯარიმა ექვემდებარება „სააგენტოს“ სახაზინო ანგარიშზე აღდგენას შემოწმების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან ან „სააგენტოდან“ შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, პირგასამტეხლოს ან ჯარიმის დარიცხვა გრძელდება შესაბამისი თანხის აღდგენამდე ან/და ხელშეკრულებით (ინსტრუქციით) ნაკისრი დარღვეული ვალდებულებების შესრულებამდე და გადაიხდება აქტით განსაზღვრული ფულად გადასახდელთან (პირგასამტეხლოს ან/და ჯარიმის ჩათვლით) ერთად.

## 11. ფორს-მაჟორი

11.1. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს „მხარეებისათვის“ გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „სააგენტოს“ და/ან „ბანკის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.2. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების იმ „მხარემ“, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე „მხარეს“ წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი „მხარე“ არ მიიღებს მეორე „მხარისაგან“ წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. „სააგენტომ“ და „ბანკმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ „ სააგენტო“ და „ბანკი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2030 წლის 01 მარტამდე.

13.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

13.2.1. მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

13.2.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის გამო;

13.2.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

## 14. სხვა პირობები

14.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

14.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

14.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

14.4. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

14.5. ხელშეკრულების მხარეებს არ აქვთ უფლება გააკეთონ საჯარო განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ და ა.შ., თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება ორივე მხარის წარმომადგენელთა წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

14.6. წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პირობები, რომლებიც უკავშირდება „ბენეფიციართა“ „ფულადი გასაცემლის“ თანხების მოძრაობის შესახებ მონაცემების მიწოდებას, აგრეთვე ვრცელდება „ბანკის“ ტერიტორიულ ერთეულებზე, „სააგენტოს“ ტერიტორიული ერთეულების მიმართვის შემთხვევაში.

14.7. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი. „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

14.8. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და მხარეთა შეთანხმებით.

14.9. „ხელშეკრულება“ შედგენილიდა 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად; აქედან: 2 (ორი) ხელმოწერილია მატერიალური სახით, „მხარეთა“ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ და ინახება „მხარეებთან“, ხოლო ერთი ეგზემპლარი ხელმოწერილია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და დასმულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპი და ინახება „მხარეებთან“ და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

**15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა**

| „სააგენტო“ | „ბანკი“ |
|---|---|
| სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო<br>ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51<br>საიდენტიფიკაციო კოდი N202178927 | სს „ლიბერთი ბანკი“<br>ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N74<br>ს/ა N400161800 საქ. ეროვნულ ბანკში<br>კოდი - 203828304 |
| LEPL SOCIAL SERVICE AGENCY<br>Digitally signed by LEPL SOCIAL SERVICE AGENCY<br>Date: 2022.06.03 16:45:58 +04'00' | Vakhtang Babunashvili 01019017789<br>Digitally signed by Vakhtang Babunashvili<br>Date: 2022.06.03 18:00:29 |
| **თამილა ბარკალაია**<br>დირექტორის მოვალეობის<br>შემსრულებელი | **ვახტახგ ბაბუხაშვილი**<br>ფინანსური დირექტორი |